ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ

# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

შაბათი 16 ოქტომბერი № 112 (11598) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

## საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველო" პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა

იხ. მე-2-3 გვ.



## შაბათს აღინიშნა მერაბ კოსტავას გარდაცვალების წლისთავი

იხ. მე-4-5 გვ.



...დღეს, უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ ჩვენს სახელოვან ფეხბურთელს და ჭეშმარიტ მამულიშვილს ბორის პაიჭაძეს.

იხ. მე-7 გვ.

# იმედი გვაქვს...

**9 ოქტომბერს,** ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა განცხადება საზოგადოება „სტალინისადმი", სადაც ისინი იწვევდნენ საზოგადოების წევრებს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში დიალოგზე. უნდა განეხილათ ის პრობლემები, რომლებიც საზოგადოება „სტალინმა", როგორც არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა ორგანიზაციამ წარმოშვა. 10 ოქტომბერს დიალოგი არ შედგა, საზოგადოება „სტალინის" წევრები უნივერსიტეტში არ მოვიდნენ.

მაშინ სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა მოაწყეს კრება, სადაც იმსჯელეს საზოგადოება „სტალინის" შესახებ, იმის თაობაზე, თუ რამდენად სამართლიანია უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ საზოგადოების უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის შესახებ...

ამავე დღეს შიმშილობა გამოაცხადეს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა ემზარ გოგუაძემ, კოტე ნიშნიანიძემ, ვახტანგ ცაგარეიშვილმა, ნუგზარ დვალმა, 11-12 ოქტომბერს აქციას შემოუერთდნენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები თეიმურაზ ლეჟავა და ვანო ყვავილაშვილი. (13 ოქტომბერს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, შიმშილობა შეწყვიტა ვახტანგ ცაგარეიშვილმა და კოტე ნიშნიანიძემ)...

მოშიმშილეთა მოთხოვნები ასეთია:

1. გამოქვეყნდეს ინფორმაცია კრემლთან საქართველოს მთავრობის ყოველგვარი მოლაპარაკების შესახებ. აიკრძალოს ყველა სახის ხელშეკრულების დადება ახალი პარლამენტის არჩევამდე.

2. ამოღებულ იქნან პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიათა და ბლოკების სიიდან პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი", აგრარული კავშირი და დემოგრაფიული საზოგადოების „ეროვნული პარტია", ვინაიდან ამ პოლიტიკურ ორგანიზაციებს აქვთ დარღვევები წესდებაში.

3. შეწყდეს ყოველგვარი ტერორი საქართველოში.

**ემზარ გოგუაძე, უნივერსიტეტის თანამშრომელი:** საზოგადოება „სტალინის", როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა გამიზნულია არა მხოლოდ მომავალი პარლამენტის, არამედ მთელი ქართველი ერის დისკრედიტაციისათვის. რაც შეეხება აგრარულ კავშირს, იგი წარმოადგენს კომპარტიის ფილიალს, საქართველოს აგრომრეწვის აღმასრულებელ ორგანოს. უფრო მეტიც, მათ ხომ წესდებაში ისიც უწერიათ, რომ ორგანიზაციის წევრობა შეუძლია, როგორც კონკრეტულ პირს, ასევე კოლმეურნეობებს და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს. დემოგრაფიული საზოგადოების „ეროვნული პარტიის" დარღვევა კი სათაურშივე ნათლად არის გაცხადებული. სხვა დარღვევა რაღა უნდა ჰქონდეს, ეს პარტია ხომ უკვე არსებული ორგანიზაციის პარტიაა.

ვიტყვი კიდევ ერთს: პასუხისმგებლობა ყველა იმ მოვლენაზე, რომელმაც შეიძლება დესტაბილიზაცია გამოიწვიოს საქართველოში, ხელი შეუშალოს დემოკრატიულ არჩევნებს, უნდა დაეკისროს ოფიციალურ ხელისუფლებას...

**თეიმურ ლეჟავა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ასტრონომი:** თავს არ ვიმშვიდებთ იმის ილუზიით, რომ დიდ წარმატებას მივაღწევთ, მაგრამ ღრმად მწამს, რომ ჩვენს მიერ წამოწყებული აქცია, უპირველესად ზნეობრივი აქციაა. მიმაჩნია, რომ სტალინიზმის აღორძინება საქართველოში, სახელმწიფო ტერორის აღორძინებას ნიშნავს. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ. თუკი ჩვენ საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილზე მაინც ვიმოქმედებთ ჩვენი აქციით, ჩავთვლით, რომ შედეგს მივაღწიეთ...

**ვანო ყვავილაშვილი: ფიზიკოსი:** მე კარგად მახსოვს 1956 წლის 9 მარტი. მაშინ 17 წლისა ვიყავი. მე იმ აქციაში ვმონაწილეობდი არა იმიტომ, რომ სტალინი მიყვარდა, არამედ იმიტომ, რომ იქ მთავრობისა და ჩვენი წყობილების საწინააღმდეგო ლოზუნგები დავინახე.

დღეს კი, როცა გამოიღვიძა ეროვნულმა მოძრაობამ, საშინელ ანაქრონიზმად მიმაჩნია ორგანიზაცია „სტალინის" შექმნა და რაც განსაკუთრებით სავალალოა, მასში ახალგაზრდების მონაწილეობა.

იმედი მაქვს ჩვენი აქცია სასიკეთო შედეგს გამოიღებს... გვჯერა საღად, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების...

**ნუგზარ დვალი, სტუდენტი:** ჩვენ დღეს დიდი არჩევანის წინაშე ვდგავართ: თუ მოახლოებულ არჩევნებში გაიმარჯვებენ პროგრესული ძალები, საქართველოს თავისუფლება შორს აღარ იქნება და თუ გაიმარჯვებენ პარტოკრატია, ტექნოკრატია და კონსერვატორული ძალები, მაშინ შედეგს ჩვენ ველარ განვსაზღვრავთ... მართალია, რესპუბლიკის პროკურორმა ზემოხსენებულ სამ ორგანიზაციაზე აღძრა სარჩელი (ზედამხედველობის წესით), სასამართლომ, თუკი იგი სამართლიანად, საარჩევნო კანონის შესაბამისად იმოქმედებს, არ უნდა დაუშვას ამ სამი პარტიის მონაწილეობა არჩევნებში... სამწუხაროდ, ეს პროცესი საკმაოდ გაჭიანურდა.

მე მინდა, მივმართო ამომრჩევლებს: გამოიჩინონ წინდახედულება და ხმა მისცენ იმ პარტიებს და ბლოკებს, რომლებმაც მრავალგზის დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

**მარინე დონაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საარჩევნო ბლოკის „მრგვალი
# პოლიტიკური და

## 1. პოლიტიკური ნაწილი

### I. ზოგადი პრინციპები

ცივილიზაციის განვითარება იმ ფაზაში შევიდა, როდესაც მოწინავე ქვეყნები ერთობლივად ცდილობენ გადაჭრან ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. მსოფლიო პროცესები იმდენად დაჩქარებულია, რომ ამ წინააღმდეგობათა უახლეს ხანში მოუგვარებლობა უაღრესად ზრდის საყოველთაო კატასტროფის შესაძლებლობას. სულ ცოტა ხნის წინ უპირველესი პოლიტიკური პრობლემა დასავლეთის თავისუფალ სამყაროსა და აღმოსავლეთის ტოტალიტარულ რეჟიმებს შორის დაპირისპირება იყო. მოწინავე მსოფლიო პოლიტიკური აზრის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ ეს უაღრესი სიმძაფრის გლობალური კონფრონტაცია მინიმალური მსხვერპლის ფასად მოიხსნა. ეკონომიკური მეთოდებით იმდენად იმართება დასავლეთიდან აღმოსავლეთში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესები, რომ თითქმის გამორიცხულია ამ ძალთა ხელახალი სამხედრო დაპირისპირება.

დღეს საქართველო გეოპოლიტიკური თვალსაზრისით უკვე შერიგებულ ზესახელმწიფოთაგან ერთ-ერთის უპიროვნო ნაწილს წარმოადგენს, რაც უაღრესად გაართულებს ბრძოლას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, თუ მისი ბრძოლის გზა ამ სახელმწიფოთა დაახლოების პროცესს დაუპირისპირდა. თავისთავად, როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოლიტიკურ სისტემათა დაახლოება, ისე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა დადებითი, დემოკრატიული ნიშნით განვითარებადი პროცესებია და შეუძლებელია ისინი პრინციპულად შეუთავსებადნი იყვნენ.

საქართველოს რადიკალური და დემოკრატიული ოპოზიცია 1990 წლის აპრილიდან გაერთიანდა „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურ ბლოკში, რომლის მიზანიცაა მშვიდობიანი, პოლიტიკური ბრძოლის გზით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და შენარჩუნება, მთელი ქართველი ერის გაერთიანება, საზოგადოებრივი დიალოგის საშუალებით კონსტრუქციული თანამშრომლობა ყველა ეროვნულ ძალასთან. სადღეისოდ მრგვალი მაგიდის წევრები არიან შემდეგი პოლიტიკური ორგანიზაციები: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი, საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია, აგრეთვე ინდივიდუალური წევრები.

ამ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მიუხედავად ზოგი განსხვავებული შეხედულებისა, აქვთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთიანი პოლიტიკური სტრატეგია და პლატფორმა, რომლის ძირითად დებულებებსაც ამჟამად ვაქვეყნებთ.

მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე საქართველო დღეს კომუნისტური, კრემლის მიერ დანიშნული ხელისუფლების 70-წლიანი დანაშაულებრივი, ანტიეროვნული პოლიტიკის გამო დგას სულიერ-ზნეობრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე, რისი უმთავრესი მიზეზიც არის 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შედეგად მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის განადგურება.

სსრკ-ში გამოცხადებული „პერესტროიკისა“ და „დემოკრატიზაციის“ მიუხედავად გრძელდება ქართული მოსახლეობის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების დარღვევა, მისი დისკრიმინაცია საკუთარ მიწა-წყალზე, საფრთხეშია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რომელმაც 1921 წლის ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ ისედაც დაკარგა ერთა ლიგის მიერ აღიარებულ ტერიტორიათა თითქმის მესამედი. საქართველოს არა აქვს სახელმწიფო საზღვრები, არ გააჩნია მისი ეროვნული ინტერესების დამცველი ხელისუფლება და სამხედრო შენაერთები, უკონტროლოდ ნიავდება ქვეყნის ხაზინა, იძარცვება ბუნებრივი რესურსები, ბარბაროსულად ნადგურდება საქართველოს ბუნება და კულტურის ძეგლები, საფრთხეშია საქართველოს ეკლესია.

ყოველგვარი მატერიალური ზარალი შეუდარებელია იმ უზარმაზად დანაკლისთან, რომელიც ქართველმა ერმა, საქართველოს მთელმა მოსახლეობამ განიცადა 70 წლის განმავლობაში გენოციდისა და ტერორის გამო. ეს იყო სავსებით მიზანდასახული განადგურება ერის საუკეთესო ნაწილისა 1921-1924, 1937, 1950-1951, 1956 და ბოლოს 1989 წლებში. გარდა ამისა, პრაქტიკულად ყველა პერიოდში, ყოველ წელს, ყოველდღე მიმდინარეობდა ყოველგვარ სამართლებრივ ნორმებთან შეუთავსებელი მასიური უსამართლობა, ადამიანის შევიწროება, დაპატიმრება, დევნა და ა. შ.

აშკარაა, რომ საბჭოთა იმპერიის მოახლოებულმა დეზინტეგრაციამ კრემლის ხელისუფალთ ტაქტიკა შეაცვლევინა. იმპერიის შენარჩუნება შეუძლებელი ხდება ტერორითა და რეპრესიებით, რის გამოც მათ შეიმუშავეს დაპყრობილი ერებისა და ტერიტორიების ახალ, კონფედერაციულ სახელმწიფო სტრუქტურაში შენარჩუნების გეგმა, რომლის საფუძველიც უნდა იყოს ვითომდა სამართლიანი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება. ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენი სამშობლოს მომავალს და საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად კრემლი მიმართავს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებთან ბრძოლის სხვადასხვა ხერხს. ახალ-ახალ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ბერკეტებთან და ეკონომიკურ ბლოკადასთან ერთად იყენებს სხვადასხვა სახის დესტრუქციულ ღონისძიებებს: თუ ბალტიის ქვეყნებში ლეგალური „ინტერფრონტების“ ორგანიზებას არამკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლებით ახორციელებენ, საქართველოში არალეგალური „ინტერფრონტის“ ორგანიზება ხერხდება ისევ კრემლის სამსახურში მყოფი ქართველების მეშვეობით.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების გამოცხადება შოვინისტებად, ანტიდემოკრატებად და ეთნოკონფლიქტების გამჩაღებლებად, მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაციის მცდელობაა. ეს ყოველივე ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროცესების ჩასახშობად და დასამუხრუჭებლად ცენტრის მიერ დიდი ხნის წინათ შემუშავებული სქემაა, რომელიც მიზნად ისახავს არარუსი ერების დემოგრაფიული ასიმილაციის დაჩქარებას.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს ხსნისათვის მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები ხედავენ ერთადერთ გამოსავალს: საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის, ეროვნული პარლამენტის, ეროვნული კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შექმნის გზით.

არის მოსაზრება, რომ დღეს საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში მყოფ დამონებულ ერთათვის არსებობს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ორი ძირითადი გზა: 1. ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და 2. არსებულ ტოტალიტარულ ხელისუფლებასთან პოლიტიკური და სამართლებრივი ბრძოლის გზით შეძლებისდაგვარად დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, გარდამავალ პერიოდში ეროვნული ინტერესების დამცველი ხელისუფლების არჩევა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა.

უკანასკნელი პერიოდის პრაქტიკამ და გამოცდილებამ ცხადყო, რომ ეს ორი გზა განცალკევებულად ვერ იარსებებს და მხოლოდ მათი კომბინირებითა და გონივრული ურთიერთშერწყმით არის შესაძლებელი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება. ბოლო წლებში ერის სასიცოცხლო პრობლემის გადაჭრაში ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგობის დაძლევა ოპოზიციამ მხოლოდ მასობრივი საპროტესტო აქციების საშუალებით შეძლო. მხოლოდ ოპოზიციისა და ხალხის ერთობლივი გამოსვლებით გახდა შესაძლებელი დღეისათვის შედარებით დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღება და მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნა.

ასე რომ, სამოქალაქო დაუმორჩილებლობისა და პარლამენტური ბრძოლის გზა ერთი მთლიანი სტრატეგიის ორი მხარეა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს 1918 წლის 26 მაისს და 1919 წ. 12 მარტს დამფუძნებელი კრების მიერ გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი კვლავ ძალაშია, მას არ დაუკარგავს იურიდიული მნიშვნელობა და იგი დღესაც წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის იურიდიულ საფუძველს. რადგანაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და კანონიერი გზით არ გაუქმებულა არც რესპუბლიკის მთავრობა და არც კონსტიტუცია. ამდენად, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო „დე იურე“ დღესაც არსებობს ხოლო მისი კონსტიტუციის მოქმედება კანონიერი მთავრობის მიერ 1921 წ. მხოლოდ დროებითაა შეჩერებული.

1975 წელს დადებულ იქნა ჰელსინკის ხელშეკრულება, რომელსაც სსრ კავშირმაც მოაწერა ხელი. ხელშეკრულების დასკვნით აქტში აღიარებულია სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა და ურღვეობა, ერთა სუვერენიტეტის ხელშეუხებლობა და საკუთარი ბედის განმგებლობის უფლება. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით სახელმწიფო საზღვრების გადასინჯვის შესაძლებლობაც, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა გერმანიის გაერთიანება და ამა წლის ბოლოსათვის დაგეგმილი ჰელსინკი-2-ის შეხვედრაზე ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების დაზუსტების საკითხის ძირითად თემად გატანა.

აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი კომუნისტური ბანაკის ქვეყნებისგან განსხვავებით, დღეს ფაქტობრივად ანექსირებულ საქართველოს არ გააჩნია არც ეროვნული და არც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. ამასთან დაკავშირებით, ურთიერთისაგან უნდა გავმიჯნოთ ოკუპაციისა და ანექსიის ცნებებიც. ქვეყანა შეიძლება იყოს ოკუპირებული, მაგრამ არა ანექსირებული. თუ საქართველოში მოხდება საბჭოური სახელმწიფო სტრუქტურების დემონტაჟი, იგი აღარ დაექვემდებარება ცენტრს და მოისპობა ფაქტიური ანექსიის ყველა ატრიბუტი, მარტოოდენ უცხო ქვეყნის ჯარის ყოფნა ჩვენს ტერიტორიაზე ვერ ჩაითვლება გადაულახავ დაბრკოლებად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე. ასეთ ანბანურ ჭეშმარიტებათა გაუთვალისწინებლობა იწვევს პესიმისტურ, არაკომპეტენტურ მსჯელობებს საოკუპაციო ჯარის არსებობის პირობებში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის შეუძლებლობის შესახებ, ან ისეთ სახელმწიფო სტრუქტურაზე იძულებით დათანხმებაზე, რომელიც კონფედერაციაზე შორს ვერ წავა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გარდამავალი პერიოდის ეროვნული ინტერესების გამომხატველმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ გადაწყვეტილებათა მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებითა და ქართული ეროვნული ტრადიციებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ გარდამავალ პერიოდში მიღებული და განხორციელებული უნდა იქნეს პოლიტიკური და სამართლებრივი აქტები, რომლებიც ჩვენი აზრით, უნდა ემყარებოდნენ შემდეგ ძირითად დებულებებს.:

### 1. საქართველოს უზენაესი საბჭო

საქართველოს უზენაესი საბჭო უნდა იყოს მრავალპარტიული პრინციპით, საყოველთაო, დემოკრატიული, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომლის იურისდიქცია გავრცელდება დღევანდელი საქართველოს სსრ-ს მთელ ტერიტორიაზე. არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო, მიუხედავად მისი არჩევის შედარებითი დემოკრატიულობისა და მრავალპარტიულობისა, მაინც იქნება საბჭოთა ხელისუფლების ორგანო, რომელიც ვერ შეძლებს იყოს ერის ნების ერთადერთი გამომხატველი და უზრუნველყოს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა. ეს მსჯელობა ჩვენ პრინციპულად მცდარად მიგვაჩნია შემდეგ მიზეზთა გამო:

ა) თვით საქართველოს სსრ დღევანდელმა უზენაესი საბჭოს სესიამ 1990 წლის 9 მარტისა და 20 ივნისის დადგენილებით, რსფსრ-ს მიერ 1921 წ. თებერვალში საქართველოს მიმართ განხორციელებული შეიარაღებული აგრესია, მისი ოკუპაცია, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებითი შეყვანის გზით განხორციელებული ფაქტობრივი ანექსია უკანონოდ გამოაცხადა. ასევე ბათილად გამოცხადდა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებული ყველა „იურიდიული“ დოკუმენტი. ამით საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ — უმაღლესმა საბჭოურმა საკანონმდებლო ორგანომ — ფაქტიურად უკანონოდ გამოაცხადა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება;

ბ) საქართველოს ახალი უზენაესი საბჭო აირჩევა შედარებით დემოკრატიული კანონის საფუძველზე მრავალპარტიული პრინციპით. არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა რეგისტრაცია მოხდა არა რომელიმე არსებულ საბჭოთა სახელმწიფო ორგანოში, არამედ პარიტეტული პრინციპით შექმნილ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში;

გ) საარჩევნო კანონის თანახმად, ახლადარჩეული უზენაესი საბჭო იქნება „საქართველოს უზენაესი საბჭო“ და არა „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო“, რაც, ცხადია, არა მხოლოდ სახელის შეცვლაა, არამედ, სოციალისტური სისტემისა და, საერთოდ, საბჭოური სტრუქტურების რღვევისაკენ მიმავალ გზაზე გადადგმული ნაბიჯია.

დ) პოლიტიკურ პარტიათა წინასაარჩევნო რეგისტრაციის პირობები არ ითვალისწინებდა არც საქართველოს სსრ და არც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებს. საარჩევნო კანონი პოლიტიკურ პარტიათაგან ითხოვს მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვას, რაც თავისთავად ათავისუფლებს ამ კანონით არჩეულ უზენაეს საბჭოს საბჭოური კანონმდებლობის წინაშე ყოველგვარი ვალდებულებისაგან;

ე) საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების გზით შექმნილი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უფლებამოსილია შეცვალოს ქვეყანაში მანამდე მოქმედი ნებისმიერი კანონი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმათა გათვალისწინებით, დროებით შეაჩეროს ან შეწყვიტოს არსებულ კონსტიტუციათა მოქმედება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის სამართლებრივ საფუძველს, რომელიც იძლევა საბჭოური სტრუქტურების—კონსტიტუციისა და კანონმდებლობის იგნორირების საშუალებას მომავალი არჩევნების დროს და შემდგომ პერიოდში. ახალმა უზენაესმა საბჭომ ზურიდიულად უნდა დააკანონოს მიღწეული და გადადგას შემდგომი ნაბიჯები არსებული პოლიტიკური სისტემის სრული რეორგანიზაციის მიმართულებით, რისთვისაც საჭიროა მიღებულ იქნას შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. დეკლარაცია საქართველოს უზენაესი საბჭოს იურისდიქციის შესახებ;

2. დეკლარაცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების უკანონოდ ცნობისა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სსრკ-ს და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს უზენაეს საბჭოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე უდიდეს წინააღმდეგობათა გადალახვა მოუწევს. ამდენად, უკიდურეს შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი საბჭო, როგორც გარდამავალ პერიოდში ერის ნების გამომხატველი ერთადერთი ორგანო, უმაღლეს საკანონმდებლო ფუნქციასთან ერთად უნდა ითავსებდეს გარეშე ძალისადმი ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის განხორციელების იურიდიული ინსტიტუტის სტატუსსაც.

### 2. გარდამავალი პერიოდი

არსებული პოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე, დღეისათვის საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა წარმოუდგენელია მოსამზადებელი გარდამავალი პერიოდის გარეშე. სწორედ გარდამავალ პერიოდში უნდა შეიქმნას საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები. გარდამავალი პერიოდი იწყება მას შემდეგ, რაც ქართველი ერის, სრულიად საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში მომწიფდება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობის იდეა და მას შემდეგ, რაც აღარ იარსებებს საქართველოს სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში ინკორპორაციის სამართლებრივი მექანიზმი. ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოში ფაქტობრივად უკვე დაწყებულია გარდამავალი პერიოდი, რომლის შემდგომი განვითარებისათვის ჩვენი აზრით, აუცილებელი: ახალარჩეულმა უზენაესმა საბჭომ დაუყოვნებლივ მიიღოს და განახორციელოს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. დეკლარაცია საქართველოს სსრ სახელწოდების, სახელმწიფო სიმბოლიკის შეცვლისა და გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ;

2. დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის დროებით შეჩერებული კონსტიტუციის საფუძველზე გარდამავალი პერიოდის ძირითადი კანონის შემუშავების შესახებ;

3. დადგენილება 1921 წლის 16 თებერვლის შემდეგ საქართველოს უკანონო ხელისუფლების მიერ დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შესახებ.

გარდამავალი პერიოდი დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელ ვნული უშიშროების სამსახურის შესახებ.

აუცილებლად მიგვაჩნია, ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება რსფსრ-ს უმაღლეს საბჭოსთან რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების უხეში დარღვევისა და 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის აღიარების შესახებ. პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს მოლაპარაკება სსრკ-ს და სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს ანექსირებულ სახელმწიფოდ ცნობის შესახებ.

ვინაიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა კანონიერი გზით არ გაუქმებულა, მისი კონსტიტუცია 1921 წლის 16 მარტს კანონიერი მთავრობის მიერ მხოლოდ დროებით იქნა შეჩერებული, საქართველოს კანონიერი მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და არ არსებობს საქართველოს სსრკ-ს შემადგენლობაში მდებლო აქტების მიღება და გატარება: სახელმწიფო ენის შესახებ.

1. მოქალაქეობის შესახებ;

2. მოქალაქეთა უფლებრივი და პოლიტიკური გარანტიების შესახებ;

3. ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ-სამართლებრივი გარანტიების შესახებ;

4. იმიგრაციის შესახებ;

5. სინდისის თავისუფლების შესახებ;

6. რელიგიური ორგანიზაციების შესახებ;

7. პოლიტიკური პარტიების შესახებ;

8. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ.

ათწლეულების მანძილზე უაღრესად დეფორმირებულმა ცხოვრების საბჭოურმა წესმა საქართველოში დაამკვიდრა ისეთი სოციალური ურთიერთობანი, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ცხოვრების პატიოსანი წესის დაცვა ფაქტიურად გმირობას უდრიდა, აქედან გამომდინარე, გაუმართლებლად მიგვაჩნია დაყენებული ფია, კორუფციამ კატასტროფული მასშტაბები მიიღო. უაღრესად დაეცა პროფესიონალიზმი —არაეფექტიანი გახდა შრომა. საქართველო ფაქტიურად ეკონომიკური, სოციალ-პოლიტიკური და კულტურული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

დღევანდელ ვითარებაში ფაქტობრივად დაუცველია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს ძეგლთა დაცვის სისტემა და სამუზეუმო საქმე. ამდენად, შესაცვლელია როგორც კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, საზოგადოდ კულტურისა და კერძოდ, ძეგლთა დაცვის სფეროში, ისე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პრაქტიკა.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებლად მიგვაჩნია არსებული სახელმწიფოებრივი სისტემის- მისი შემადგენელი სტრუქტურების თანდათანობითი დემონტაჟი და მათ ნაცვლად ახალი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნა.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ ამ მიმართულებით უნდა გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:

1. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს დეიდეოლოგიზაცია:

2. დადგენილება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა სრული გამიჯვნის შესახებ;

3. კანონი სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ; (ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება);

4. კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ;

5. კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმების შესახებ, (მუნიციპალური არჩევნების ჩატარების გზით);

6. დადგენილება აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების შექმნის შესახებ;

7. დადგენილება ეროვნული პოლიციის შექმნის შესახებ;

8. განათლების სისტემის რეფორმა;

9. რეფორმა ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ.

როგორ უნდა წარმართოს გარდამავალ პერიოდში უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა, რომ ის მსოფლიო გლობალურ პოლიტიკურ პროცესებს არ დაუპირისპირდეს?

ახლო აღმოსავლეთის კრიზისი დღეს მსოფლიო პოლიტიკის უმთავრესი საკითხია. მებრძოლი ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევარი დიქტატორული რეჟიმები დაუპირისპირდნენ შედარებით დემოკრატიულ არაბულ ქვეყნებს და თავისუფალი სამყაროს სახელმწიფოებს. საბჭოთა კავშირი, რომელმაც თვითონ გამოზარდა (იდეურადაც და იარაღითაც) ერაყი, უაღრესად საშიშ აგრესორად, პოლიტიკური თვალსაზრისით უყოყმანოდ დადგა დემოკრატიული ქვეყნების გვერდით. აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირი ცდილობს დაადგეს მის მიერვე დეკლარირებული პრინციპის — ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა უზენაესობის რეალური შესრულების გზას. საბჭოთა კავშირის მოჩვენებითი ინერტულობა (დღემდე ერაყში საბჭოთა სამხედრო ინსტრუქტორთა ყოფნა თუ კრიზისის რაიონში საბჭოთა შეიარაღებულ ძალთა არგადასროლა) დიპლომატიური მოქნილობის შედეგია. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს კრიზისის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებაში, საბჭოთა კავშირია, რაც კიდევ უფრო გაზრდის მის ისედაც დღემდე არნახულ პოპულარობას.

კომუნისტური სოციალიზმის საყოველთაო, საბოლოო კრახისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე ანტირასისტული პროცესების შემდეგ აშკარაა, რომ მსოფლიო პოლიტიკაში თვისობრივად ახლად წამოჭრილ მარადიულ საკითხთა საბოლოო გადაჭრა (და არა დროებითი დარეგულირება) შეუძლებელია მხოლოდ კლასიკური პოლიტიკური მეთოდებით. მსოფლიოში საყოველთაო მშვიდობის მიღწევა წარმოუდგენელია საყოველთაო მსოფლმხედველობრივ-რელიგიური და სამართლებრივი შეთანხმების გარეშე. ეს პრობლემები არ თავსდება კლასიკური პოლიტიკის ჩარჩოებში და მათ გადაჭრაში გადამწყვეტი როლი კაცობრიობისათვის სამმა უდიდესმა ავტორიტეტმა — რელიგიამ, ხელოვნებამ და მეცნიერებამ უნდა შეასრულოს.

აქედან გამომდინარე, საქართველომ და მისმა ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ, როგორც ერის ნების ერთადერთმა ჭეშმარიტმა გამომხატველმა ოფიციალურმა ორგანომ, უნდა იმოქმედოს სწორედ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა კატეგორიებიდან გამომდინარემ. ეს ღირებულებანი თავის მხრივ მხოლოდ უმაღლესი ჭეშმარიტების რელიგიურ პრინციპებს შეიძლება ემყარებოდნენ, ხელოვნება უნდა ქმნიდეს ამ ღირებულებათა ურთიერთგაზიარების საყოველთაო ატმოსფეროს და ისინი ადამიანთა ცნობიერებაში საკაცობრიო მეცნიერული მიღწევებით უნდა იქნენ გამაგრებულნი.

სწორედ ამ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა რანგს განეკუთვნება ქართველი ერის უმთავრესი მიზანი — საქართველოს დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება — ჩვენს სამშობლოში თავისუფლების, საყოველთაო კეთილდღეობისა და სამართლიანობის დამკვიდრება, რაც ბუნებრივია შეუძლებელია მიღწეულ იქნას ლოკალურად ერთ ქვეყანაში. საყოველთაო თავისუფლება და სამართლიანობა ღვთის შეწევნით მთელმა კაცობრიობამ ერთიანი ძალისხმევით უნდა დაამკვიდროს დედამიწაზე.

საქართველომ უნდა დაიბრუნოს თავისი ტრადიციული ისტორიული მისია, შეასრულოს მედიატორის როლი აღმოსავლეთსა და დასავლეთს, საქრისტიანოსა და ისლამურ სამყაროს შორის.

ხოლო თუ საქართველო, ქართველი ერი, მისი ახლადარჩეული ეროვნული უზენაესი საბჭო, თავისუფლებისათვის ბრძოლაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა(?) პრინციპებს არ გადაუხვევს, ცენტრთან უკიდურესი დაპირისპირების შემთხვევაში, თვით ოფიციალური ეროვნული უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებული საყოველთაო დაუმორჩილებლობის დროსაც, ის იქნება მართალი საერთაშორისო სამართლისა და საზოგადოებრივი აზრის წინაშე, მხოლოდ ამ შემთხვევაში არსებული საერთაშორისო რეალობა, თვით რუსეთში სულ უფრო მზარდი დემოკრატიული ძალები არ დაუშვებენ, რათა გამოყენებულ იქნას ტერორისა და რეპრესიების ანაქრონისტული მეთოდები.

სწორედ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრინციპებს უნდა დაეფუძნოს კანონის უზენაესობა, რომელიც ქვეყანაში მხოლოდ მოსახლეობის ნდობის მანდატგაცემულმა, ავტორიტეტულმა ხელისუფლებამ შეიძლება დაამკვიდროს. კანონის უზენაესობა აუცილებელია საქართველოში სტაბილური მდგომარეობის. სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად. სამართლებრივ სახელმწიფოში კი სტაბილურობა ყოველმხრივი განვითარებისა და საყოველთაო კეთილდღეობის გარანტიაა.

უახლოეს მომავალში კაცობრიობამ თავისუფალ ერთა ჰარმონიული თანამეგობრობის სახით ცივილიზაციის თვისობრივად ახალ ეპოქაში უნდა შეაბიჯოს. მათ შორის უნდა იყოს სრული სახელმწიფოებრიობის მქონე ქართველი ერიც. ამ მიმართულებით კი, უახლოესი და ალბათ ურთულესი შემდგომი ნაბიჯები საქართველომ სწორედ 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს მოქმედების პერიოდში უნდა გადადგას.

**ღმერთი ფარავდეს სრულიად საქართველოს.**

პლატფორმის ეკონომიკური ნაწილი გამოქვეყნდება გაზეთის უახლოეს ნომერში.

# „მაგიდა–თავისუფალი საქართველო" ეკონომიკური პლატფორმა

საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციები ცნობენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, რის შედეგადაც დაინიშნება თავისუფალი საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული არჩევნები. იმისათვის, რომ საქართველო ცნონ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, აუცილებელია მას გააჩნდეს მკაცრად დადგენილი საზღვრები, არსებობდეს დემოკრატიული წესით არჩეული ხელისუფლება, რომელიც განახორციელებს კონტროლს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

### 3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი დაცვა

1921 წლის ანექსიის შემდეგ გარდა ტერიტორიული დანაკარგებისა, საქართველომ უდიდესი დანაკლისი განიცადა მისი წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების უმოწყალო ექსპლუატაციის შედეგად. საქართველოდან გაზიდულ იქნა მილიონობით ტონა მარგანეცი, ფერადი ლითონი, მარმარილო და ა. შ. ყოველივე ამან, არა მარტო აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ბუნებას, არამედ საქართველომ უზარმაზარი ფინანსური ზარალიც განიცადა, რაც გამოწვეული იყო საქართველოს ტერიტორიის ფაქტიური დაუცველობითა და სახელმწიფო საზღვრების მხოლოდ რუკებზე არსებობით.

ეჭვგარეშეა, რომ ახალმა უზენაესმა საბჭომ უნდა გადაწყვიტოს საქართველოს ტერიტორიის, მისი ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაციისა და საიმედო დაცვის საკითხი.შეიქმნას სპეციალური კომისია საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გარდამავალი პერიოდის უზენაესმა საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შემდეგი საკანონმდებლო აქტები: 1. საქართველოს მიწის, საჰაერო სივრცის, წყლის რესურსების, კონტინენტური შელფისა და წიაღისეულის ეროვნულ საკუთრებად გამოცხადების შესახებ; 2. სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების შესახებ; 3. საბაჟო სამსახურის შესახებ; 4. სატრანზიტო გადაზიდვების შესახებ; 5. ეროვნული საჯარისო ფორმირებების შესახებ; 6. საქართველოში საბჭოთა არმიის ნაწილებისათვის უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალის სტატუსის მინიჭების შესახებ; ეროშეყვანის სამართლებრივი საფუძველი. გარდამავალ პერიოდში საქართველოს ჩვენ განვიხილავთ როგორც ანექსირებულ სახელმწიფოს, რომელმაც უნდა აღადგინოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ უნდა იზრუნოს, რათა სხვადასხვა ქვეყნებში აღსდგეს და გაიხსნას საქართველოს წარმომადგენლობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს საერთაშორისო კავშირურთიერთობებს და მისი სახელმწიფოებრიობის იურიდიული სტატუსის დამკვიდრებას. ეს წარმომადგენლობები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ უზრუნველყოფენ ამ ქვეყნებთან საქართველოს საგარეო დიპლომატიურ ურთიერთობებს.

### 4. ადამიანის უფლებათა დაცვა და მოქალაქეობრივი შემწყნარებლობა

საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული რელიგიური შემწყნარებლობა. საქართველოში საუკუნეების მანძილზე ყოველგვარი ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები.

ახლად არჩეული უზენაესი საბჭო, როგორც ქართველი ერის ნების გამომხატველი ორგანო, მოქმედებისას, ბუნებრივია, იხელმძღვანელებს ამ ძირძველი ტრადიციებით, შექმნის რა, სამართლებრივ საფუძვლებს კომუნისტური ტოტალიტარიზმის პერიოდში უაღრესად გამწვავებული პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგიური ურთიერთობების მოსაგვარებლად. გარდამავალი პერიოდის საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციაზე, ჰელსინკისა და ვენის საერთაშორისო შეთანხმებათა დასკვნით აქტებზე დაყრდნობით უნდა გატარდეს კონკრეტული ქმედითი ღონისძიებანი პოლიტიკური, რელიგიური და მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის და მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის დასამკვიდრებლად.

გარდამავალი პერიოდის საქართველოში გარანტირებული უნდა იქნეს საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი საკანონიქნას იმ პირთა საზოგადოებრივი, მორალური თუ იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში იძულებულნი იყვნენ ზნეობრივ კომპრომისზე წასულიყვნენ. ხშირ შემთხვევაში თვით სისხლის სამართლის დანაშაულებანიც კი გამოწვეული იყო ტოტალიტარული სისტემის მიერ შექმნილი ცხოვრების არაადამიანური პირობებით. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ახალარჩეულმა უზენაესმა საბჭომ უნდა განიხილოს ფართო მასშტაბის ამინისტიის გატარებისა და სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი, გამოაცხადოს საყოველთაო ეროვნული შერიგება და შემწყნარებლობა.

### 5. სამოკავშირეო ხელშეკრულება

მიგვაჩნია, რომ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, სამართლიანი სახელმწიფოებრივი სამოკავშირეო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ თანასწორუფლებიან, დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის. ამდენად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად საქართველოს აღიარებამდე დაუშვებელია სახელმწიფოებრივი სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხის დასმაც კი ნებისმიერ ქვეყანასთან, მათ შორის სსრკ-სთან, რაც თავის მხრივ არ გამორიცხავს გარდამავალ პერიოდში გარკვეული ვადით, სხვადასხვა სამთავრობო ეკონომიკურ-კულტურული შეთანხმების გაფორმებას. ვთვლით, რომ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება თავისუფალი საქართველოს ეროვნული პარლამენტის პრეროგატივაა, რომელიც არჩეულ იქნება გარდამავალი პერიოდის დამთავრებისთანავე.

### 6. საბჭოთა იმპერიული სახელმწიფო სტრუქტურების დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნა

საბჭოთა იმპერიული სტრუქტურების ცენტრალიზაციამ, მმართველობით-ადმინისტრაციულმა სისტემამ, საქართველოს მოუტანა სახელმწიფო სტრუქტურების შემადგენელი ყველა ელემენტის ფაქტიური მოშლა, რამაც თავის მხრივ წარმოშვა ფარული ეკონომიკური მექანიზმი: გაბატონდა მა-



# მერაბ კოსტავას ლექსები

### თეთრი ქალწული

მიუსაფარი ფიფქი ეული
მაგ გიშრის ტევრში მხურდა მენახა.
ფიფქივით ქარის ამბორს ჩვეული
ფიფქის რჩეულიც თურმე შენა ხარ.

რატომ აენთო ფიქრის მლალავი,
რომ დაგინახა როგორ
შეთრთოლდი
ახალ თოვლივით გაუკვალავი,
უსპეტაკესი ვიდრე თეთნულდი.

რად დაუტევა თავშესაფარი,
ან ზეცას ზურგი რად შეაქცია,
მოხეტიალე ცის ბინადარმა
ვიდრე შენამდე ჩამოაღწია.

რად დაემკვიდრა იგი შენს თმაში,
უსათუთესი ვიდრე მაქმანი,
უსპეტაკესი ვიდრე ლურჯ ზღვაში
ელვარე აფრა და იალქანი.

მწველია ფიფქი ქალწულის თმაში,
მაწამებს რადგან მეძვირფასება
როგორც პალადინს ხეფე-დარბაზში
ძვირფასი თვლების აალმასება.

ფიფქო, მქარგველო ფარულ
ოცნების,
წამწამთა ტევრშიც მეხათნოები,
რადგან ხავსე ხარ პატიოსნების
პირველყოფილი უმანკოებით.

ნეტავი სიზმრად მენახე რულში,
არ დაგეღველფე მშუშხავ
თვალივით,
ასე მყოლოდი დაფერფლილ
გულში
სავსე ოცნების თეთრ
კრისტალივით.

შემიმსუბუქე გზის გასაყარი,
ამინთე გულში ხსოვნა მარადი,
ბნელს მინათებდე როგორც
ლამპარი
და მოლოდინში კუბოს კარამდე.

მარადი ხსოვნა წამიერიდან,
გადათეთრება არე-მარესი
მწველია, მაგრამ იმ გიშერიდან
შენა ხარ მეტად უელვარესი.

მწველია, მწველი ქალწულის თმაზე
ფიფქი, რადგანაც მეძვირფასება
როგორც ქალდეველს ულრუბლო
ცაზე

...

ცხრა კართაგენი თუნდაც დაეცეს,
უნდა ელოდე შემდეგს.

სულო, გახდიე ხალი კლდის არწივს,
ლაჟვარდში შვება იცან,

ხად მიისწრაფი სულო, დაიცა,
სულო მბორგავო, შესდექ,
წმინდა ლაჟვარდიც უნდა გაიცრას,
რომ მიემთხვიოს ედემს.

# გოროტებასთან შეურიგალი

გასულ შაბათს ქართველმა ხალხმა აღნიშნა თავისი ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას გარდაცვალების წლისთავი. ჩვენი გაზეთი შაბათს არ გამოსულა, ამიტომაც ახლა ვაქვეყნებთ ამ დღისადმი მიძღვნილ მასალებს, რომელთა შორის ერთი მისი ავტოგრაფითაა, სულ ორიოდე სიტყვაშიც თვალნათლივ ჩანს, თუ რა ფართო იყო ამ სახიჭადული მამულიშვილის თვალსაწიერი.



# მიძღვნა

### მერაბ კოსტავას ხსოვნას

ვინც, ვინც იარა ცოტნეს სულით
ეკლიან გზებზე,
ვინც, ვინც შეიძლო შესდგომოდა
ცა დაბალს მხრებით,
ათენ-ალამა ვინაც ქართვლის
მყოობადზე, ბედზე,
წევს კუბოში და მის წინარე
თავდახრით ვდგებით;

...

უტეხად, ქედი არ მომიხარე,
გეკვეთე, მაგრამ დაძარღვულ
რტოებს
ჯიქურ მკლავი ვერ გადაუხარე.

მე შეგიხახლე ძალა ცხოველი,
გიფოლადებდი ძვლებს
კოჟრებიანს,
შეუმუსრავი ნაკვთი ყოველი
ჩემთან ბრძოლაში გაჯაჟებია.

### ძმაო ერთგულო ერთგულ რაინდის

### მერაბ კოსტავას ნათელ ხსოვნას

მხნევ, ანდამატო განუკვეთელო,
მამულის ლოცვავ, მადლის
ქედელო,
ძმაო ერთგულო, ერთგულ
რაინდის
შენი გზა ცათა ნათელში მიდის...

მშვიდობა შენს სულს, შენს
წაბრძანებას
აწ, განშორების იწყეს ზარებმა.
და განშორება ისე მწარეა,
...

მოსკდება იგი, —
თავისუფლების, ო, სანუკვარს
დაიდგამს
გვირგვინს.
აქედან ქართვლის აჯაგრული
ხედი იშლება...
ბადრი ცირამუა

16.X.89.

სიკვდილი შენით იქნეს ...
მშვიდობა შენს სულს,
შენს წაბრძანებას!..
წინ ვინ დაუდგეს შალალ ...
მაგრამ, გვწამს შენებრ ...
თავისუფლება აღმობრწყინდება.

### მზეს შემოჯუვები ნათლის მხედარი

მოახლებული სასუფეველი
ცა-გახსნილობით, ელვათა კრთომით
გეფერებოდა ცად თვალახელილს...
სიონში იწევ დალლილი ლომი...

განკვირდებოდა ელადაც, რომიც
ამდენი ტანჯვით. ამდენი ომით.
ცრემლებს გაფრქვევდა მთლად
საქართველო,

ხატადქცეულთან მუხლმოყრით
მდგომი.

რად, ბედი, ჩვენზე რად არის
მწყრომი,

ჩვენი წამები და ტანჯვის
...



# მიმართვა

## ქართველი ხალხისადმი და ყველა კეთილი ნების ადამიანისადმი

ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორიის შექმნა მომავლის საქმეა. დღეს კი ვაქვეყნებთ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ბატონ მერაბ კოსტავას მიმართვას ქართველი ხალხისადმი, რომელიც მან გამოგზავნა 1982 წელს ქ. ანგარსკიდან. წერილი მოგვაწოდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ნინო ნადარაიამ.

ამ წერილის მისამართი საკმაოდ პრეტენზიულია და სხვა შემთხვევაში ჩემს თავს არ მივცემდი ამის უფლებას, მაგრამ მიმაჩნია, რომ საქართველოში უნდა იცოდნენ, თუ როგორ მოექცნენ აქ, ციმბირში, რუსეთის მიწა-წყა-

...

ვიტყვი იმაზე, რომ ჩვენში არ არის პოლიტიკური სტატუსი, არც იმაზე ვიტყვი რაიმეს, რომ პატიმრობა და გასახლების პერიოდი მე, ქართველმა კაცმა, ურალში და ციმბირში გავატარე. ბანაკის მერე გასახლებული ვიყავი ირ-

...

თველოში. გავიგე, რომ ერთ ქალს სთხოვდნენ გაუპატიურების მცდელობა დაებრალებინა ჩემთვის. ცრუმოწმეც უშოვეს თურმე, მაგრამ იმ ქალმა ცივი უარი განუცხადა, მალე პროვოკატორების მოგზავნა დამიწყეს, რომ ჩხუბზე გამოვეწვიეთ, მაგრამ თავი მშვიდად მეჭირა და არაფერი გამოუვიდათ. ერთ წელს არ ვსვამდი და სიფრთხილის გამო ხალხთან ურთიერთობასაც ვერიდებოდი. ჩემს წინააღმდეგ განსაკუთრებით მოქმედებდა მილიციის ოფიცერი

...

ხმა გარეთ არ გამოვა. ამასთან, გვერდზე მხოლოდ ერთი მეზობელი ცხოვრობს, რომელსაც ტელეფონი არა აქვს, თანაც, ღამის 9-10 საათზე, ისეთ ყინვაში, კაციშვილი არ დადიოდა ქუჩაში. უბრალოდ მირონენკოდან დაწყებული კლინგის, გოევსკის, სოფლსაბჭოს თავმჯდომარის, ზელენინსკისა და მოწმეების ჩათვლით (ვგულისხმობ შმელკოვს და კორიაგინს) მთელი ეს სცენარი წინასწარ იქნა მომზადებული და შე-

...

წინაშე ნილაბი და თავიანთი გახრწნილი არსება არ დაენახვებინათ. არ მინდა, რომ ბოლომდე დავიჯერო მათი ასეთი წახდენა. ჩემი საჩივრებისა და განცხადებების შემდეგ ცენტრიდან მოდის ბრძანება ამ შემზარავი ამბის განხორციელებისა.

მ. კოსტავა.
15 კოლონია,
24 აპრილი, 1982 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება, ქრონიკა, ინფორმაცია

**უკრაინელ მანიფესტანტებს!**

ძვირფასო უკრაინელო მეგობრებო, გიცხადებთ სრულ სოლიდარობას და მხარს ვუჭერთ თქვენს პროტესტს ახალი საკავშირეო ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ და მოთხოვნას დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების თაობაზე. თქვენი მოძრაობის გამარჯვება დიდი ნაბიჯი იქნება საბჭოთა იმპერიის დემონტაჟის გზაზე.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დიდი ყურადღებით და იმედით შეჰყურებს უკრაინაში მომხდარ მოვლენებს.

4 ოქტომბერი, 1990 წელი
**„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“**

●

**საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის ინიციატივით შეიქმნა „საქართველოს ფარგლებს გარეთ დაკრძალულ გამოჩენილ მამულიშვილთა ხამშობლოში გადმოსვენების საქველმოქმედო ფონდი“.**

**ფონდმა მიზნად დაისახა ბაგრატიონთა ღვთივკურთხეული სამეფო დინასტიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ტრაპიზონში (თურქეთი) გარდაცვლილი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის საფლავის მოკვლევა, მისი ნეშტის სამშობლოში ჩამოსვენება და მამა-პაპათა საძვალეში დაკრძალვა.**

**ამ მამულიშვილური საქმის სისრულეში მოსაყვანად თურქეთში ორჯერ იმყოფებოდა ქალაქ ბათუმის მერი ბატონი როსტომ დოლიძე (მეორედ მას ახლდა ბატონი თამაზ აფხაიძე). თურქეთის არქივებში სათანადო მასალის შესწავლისა და დამუშავების, აგრეთვე მოსახლეობასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სოლომონ II-ის საფლავის მიმანიშნებელი წარწერა ან რაიმე ნიშანი მიწის ზემოთ დღეისათვის აღარ არსებობს, მაგრამ დაზუსტებულია ყოფილი აკლდამის ადგილმდებარეობა.**

**სამთავრობო დონეზე მიწერ-მოწერისა და მოლაპარაკების შედეგად თურქეთის მთავრობისაგან მიღებულია ნებართვა ტრაპიზონში სოლომონ II-ის ნეშტის მოძიებისა და დადასტურებისათვის აუცილებელი სამუშაოების საწარმოებლად.**

**საორგანიზაციო კომისიის მიერ შექმნილია მკვლევარ-მეცნიერთა არქეოლოგიური ჯგუფი, რომელიც 1990 წლის 14 ოქტომბერს აღნიშნული სამუშაოების საწარმოებლად ტრაპიზონში მიემგზავრება. ჯგუფს ხელმძღვანელობს ქალაქ ბათუმის მერი ბატონი როსტომ დოლიძე.**

**გადმოსვენების ფონდის პრესცენტრი.**

●

**საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს**
**ბატონ გივი გუმბარიძეს**
**საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს**
**ბატონ ნოდარ ჭითანავას**
**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს**
**ბატონ შოთა გორგოძეს**
**საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს**
**ბატონ ვახტანგ რაზმაძეს**

საქართველოს სახალხო ფრონტი შეშფოთებას გამოთქვამს ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“-ს წევრთა იმ მკვლელობის გამო, რომელიც მოხდა ამ რამდენიმე დღის წინ. სახალხო ფრონტს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ეს მკვლელობა იყო საიდუმლო სამსახურების მოქმედების შედეგი, რადგან სწორედ ეს სამსახურები არიან დაინტერესებულნი:

1. საქართველოში ქაოსისა და დესტაბილიზაციის შექმნით, რომლის მიზანია ჩაიშალოს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები. ღონიერი და მდგარი უზენაესი საბჭოს არჩევით საქართველო რეალურად დაადგება განთავისუფლების გზას.

2. დესტაბილიზაციის გზით და წესრიგის „დამყარების“ საბაბით საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კარდინალური ჩახშობის მიზნით.

საქართველოს სახალხო ფრონტს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია აღკვეთოს საიდუმლო სამსახურების ტერორი ქართული ეროვნული მოძრაობის მიმართ და ამ მიმართულებით თავის საქმიანობაზე ანგარიში ჩააბაროს საზოგადოებრიობას. ამ მოვალეობის მოუხდელობა დანაშაული იქნება ქართველი ერის წინაშე. საქართველოს სახალხო ფრონტი მოითხოვს ამ ვითარების შესასწავლად საპარლამენტო კომისიის გამოყოფას საზოგადოებრიობის მონაწილეობით.

●

**საქართველოს ხათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს**
**ბატონ ბახვა ლოგუანიძეს**

**საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ წარდგენილი უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა და საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრთა მოთხოვნა**

**მოგახსენებთ, რომ გაგრის რაიონის იფნარის დასახლების 8000 მცხოვრები უკვე რამდენიმე თვეა თხევადი გაზის გარეშე დარჩნენ (ბუნებრივი აქ საერთოდ არ არის).**

**ამ საქმეში თუ ვის როგორი „წვლილი“ მიუძღვის, ჯერჯერობით გაურკვეველია. ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით საქმე პროკურატურას აქვს გადაცემული. აშკარა ფაქტია ის, რომ დასახლებაში მცხოვრები ბავშვები, ქალები და მოხუცები უიმედოდ შეჰყურებენ გაუქმებულ გაზქურებს. ელ. დენის გათიშვის დროს კი სადარბაზოებში შეშის ღუმელებზე ამზადებენ სადილებს.**

**სანამ გაირკვეოდეს რატომ აღმოაჩნდა იფნარის დასახლებას 22 ათასამდე მანეთის დავალიანება, კატეგორიულად მოვითხოვთ, სასწრაფოდ მიეწოდოს იფნარისა და გაგრის მიმდებარე დასახლებებს თხევადი გაზი, რათა რეგიონში ისედაც არსებული არასტაბილური მდგომარეობა კიდევ უფრო არ გართულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებელი იქნებით თქვენ და თქვენი უწყება.**

**საქართველოს სახალხო ფრონტი თავის მხრივ იძულებული იქნება მიმართოს პროტესტის უფრო მწვავე ფორმებს.**

**ნუგზარ ხიდიშელი,**
**საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი, პროცვის კომისიისა და სსფ-ს დარბაზის წევრი;**
**გურამ ყორანაშვილი,**
**საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი — პროფესორი.**

●

**„9 აპრილს მოწამლულის, ზვიად ქასრაშვილის მდგომარეობა გადაუდებლად ითხოვს საზღვარგარეთ მკურნალობას. ავადმყოფის სახელზე საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რესპუბლიკურ ბანკში გახსნილია ანგარიში, ნომრით: 70 000 024.**

**ორგანიზაციებს, რომელთაც გააჩნიათ ვალუტა, ვთხოვთ, დახმარება აღმოუჩინონ 9 აპრილს მოწამლულ ავადმყოფს.**

**დახმარებისათვის წინასწარ გიხდით უღრმეს მადლობას.**

**ზ. თევზაძე,**
**სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე.**

●

საქართველოში იქმნება მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო საბჭო, რომლის მიზანია დაიცვას მსჯავრდებულთა ინტერესები, დაეხმაროს მათ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში სასჯელის მოხდის ადგილებში, საბჭო ასევე დახმარებას გაუწევს მსჯავრდებულთა ოჯახებს და ხელს შეუწყობს განთავისუფლებულ მსჯავრდებულების სოციალურ რეაბილიტაციას.

საკოორდინაციო საბჭოს საინიციატივო ჯგუფი მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ა/წლის 19 ოქტომბერს დღის 2 საათზე ახალგაზრდულ კლუბ „ამირანში“ მოავლინონ თავიანთი წარმომადგენლები, რათა მონაწილეობა მიიღონ საბჭოს დამფუძნებელ სხდომაში.

„ზრახვამან კეთილმან დაგიცვათ თქვენ!“

**მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო საბჭოს საინიციატივო ჯგუფი.**

●

**ჩვენი ხანგრძლივი, ძნელბედობით აღსავსე ისტორიის მანძილზე არის თარიღები, რომელთა დავიწყებაც არ შეიძლება. ისინი უშუალოდ ქართული სულის უკვდავებაზე მიანიშნებენ. ასეთ თარიღთან აღსანიშნავია ერთი, რომელიც განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, ალაზანს აქეთ მცხოვრებ ქართველთათვის.**

**140 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ივან-ბაბა ბულულაშვილი და მისი თანამოაზრენი სიონის ტაძარში მოინათლნენ. ?ითაო სათოძველი ჩაუყარეს მანამდე მინავლულ, შეჩერებულ, მტრის მოძალეობის შედეგად შეწყვეტილ საეკლესიო ცხოვრებას — წირვა-ლოცვას. მანამდე ფარულად მოტანილმა ქრისტიანულმა მრწამსმა და ეროვნულმა შეგნებამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა ჩვენი კუთხის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში. 1850 წლის ოქტომბრიდან ჩაეყარა საფუძველი ტაძრების აღდგენა-მოქმედებას, ქართული სკოლების დაარსებას და ბიბლიოთეკების გახსნას, საზოგადო მოღვაწეთა გამოსვლას ფართო ასპარეზზე. ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რაც ჩვენს ქართველობას განსაზღვრავს. ასეთი იარაღი უცილობლად აღნიშვნის ღირსია და შთამომავლობამ ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ ჩვენს დიდ განმანათლებელს და მის გვერდით მდგომ ღირსეულ ერისკაცებს.**

**მოსე ჯანაშვილის საზოგადოების ინიციატივითა და კახის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრის, მამა ილარიონის ლოცვა-კურთხევით ამა წლის 21 ოქტომბერს აღინიშნება საინგილოში ქრისტიანობის აღდგენის 140 წლისთავი.**

**ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს ისტორიული ფაქტი სათანადო გამოხმაურებას ჰპოვებს საზოგადოებაში. ვიწვევთ მსურველებს დღესასწაულზე.**

**სადღესასწაულო წირვა დაიწყება 21 ოქტომბერს, დილის 9 საათზე.**

**მოსე ჯანაშვილის საზოგადოება.**

●

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში პირველად ტარდება უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები. მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები ამ არჩევნებში გაერთიანდნენ ბლოკში „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“.

წინასაარჩევნო კამპანიის ნორმალურად ჩატარებისათვის მრგვალი მაგიდის ორგანიზაციებს ესაჭიროებათ გარკვეული თანხა.

ფინანსური მხარდამჭერის მსურველთ ვაცნობებთ ჩვენს რეკვიზიტებს 001700545 თბილისის ბინსოცბანკის მთავარი საოპერაციო სამმართველო.

**საარჩევნო ბლოკის — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ — საარჩევნო კომისია**

**ჩვენი მისამართია: თბილისი მაჩაბლის ქ. № 11. ტელეფონები: 93-78-78, 93-76-11.**

●

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ-ნ გ. გუმბარიძეს**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ნ. ჭითანავას**
**საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს ბ-ნ ჯ. ფირცხალაიშვილს**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს ბ-ნ გ. ჩოგოვაძეს**

**მიმართვა**

**მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო კათედრა წარმოადგენს, ერთ-ერთ ყველაზე კარგად აღჭურვილ სასწავლო დაწესებულებას მსგავსი სახის დაწესებულებებს შორის. შესაბამისად სტუ-ს სამხედრო კათედრას შეუძლია ფასდაუდებელი სამსახური გაუწიოს მომავალ თავისუფალ საქართველოს ეროვნული საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბების საქმეში. დღესდღეობით სასწავლო პროცესი სტუ-ს სამხედრო კათედრაზე მიმდინარეობს რუსულ ენაზე, რადგან მასწავლებელთა კადრების დიდ უმრავლესობას რუსულენოვანი ოფიცრები წარმოადგენენ, რაც ეწინააღმდეგება ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს და ბღალავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ჩვენ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს და თანამშრომლებს მიგვაჩნია, რომ ამ უდიდესი მნიშვნელობის ეროვნული საქმის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია:**

**1. სტუ-ს სამხედრო კათედრა გამოყოფილ იქნას საბჭოთა არმიიდან და მთლიანად დაექვემდებაროს ტექნიკურ უნივერსიტეტს, როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.**

**2. სამხედრო კათედრა შეძლებისდაგვარად დაკომპლექტდეს ქართული კადრებით და სასწავლო პროცესი წარიმართოს ქართულ ენაზე. კადრების მოზიდვის მიზნით:**

**ა) გაეგზავნოს შესაბამისი შეტყობინება (საქართველოს სამხედრო კომისრის მეშვეობით) საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა სამხედრო კომისარიატს (ცალკე თბილისში);**

**ბ) თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან მოწვეულ იქნენ ქართული ენის მცოდნე ოფიცრები;**

**გ) აღიძრას შუამდგომლობა ამიერკავკასიის ჯარების სარდლის წინაშე, რათა მისდამი დაქვემდებარებულ ოლქში, ქართული ენის მცოდნე სამხედრო სპეციალისტები გამოგზავნილი იქნან სტუ-ში სამსახურისათვის, ხოლო მათ ადგილზე გადავიდნენ სტუ-ის სამხედრო კათედრაზე მომსახურე ოფიცრები;**

**დ) დაისვას საკითხი სსრკ-ის მასშტაბით სხვადასხვა სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან, ქართული ენის მცოდნე სპეციალისტების სტუ-ში სამსახურისათვის გადმონაწილების თაობაზე.**

**3. შემდგომში უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრების შერწყმის შედეგად შესაძლო იქნება ქართული სამხედრო სასწავლებლის გახსნა.**

**თუ ჩვენი წინადადებები უგულვებელყოფილი იქნება და უახლოეს მომავალში ქმედითი ზომები არ იქნება მიღებული, ჩვენ მივმართავთ შესაბამის ზომებს, რასაც გამოვხატავთ სამხედრო კათედრის მიმართ ბოიკოტით.**

**სტუ-ს პროფკავშირული ორგანიზაციის სტუდენტური განყოფილება**
**სტუ-ს სტუდენტთა სადისკუსიო კლუბი**

●

ა/წლის 31 მაისის № 60 (115461) „ახალგაზრდა ივერიელის“ მე-4 გვერდზე იყო გამოქვეყნებული სტატია — „კიდევ ერთი მსხვერპლი“ — 9 აპრილის ტრაგედიის შედეგად დაღუპული ალეკო ადამიას შესახებ.

წერილში აღნიშნული მისამართით, ვერ დავადგინეთ ა. ადამიას ოჯახის ადგილსამყოფელი. მივმართეთ ვაკის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას, სამისამართო ბიუროს, მაგრამ ძებნა უშედეგო აღმოჩნდა.

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ თქვენს გაზეთში ჩვენი განცხადება, იქნებ ვინმე გამოგვეხმაუროს და გავიგოთ ა. ადამიას ოჯახის მისამართი, რათა სათანადო დახმარება გავუწიოთ მას.

**ვ. კაჭარავა,**
**საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებული ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისათვის დახმარების გასაწევად შექმნილი კომისიის თავმჯდომარე.**

●

**მიმდინარე წლის 18 სექტემბერს „სახალხო განათლებაში“ დაბეჭდილი იყო ბატონ რევაზ ბარამიძის წერილი „თავისუფლების“ თუ „ღვთისმშობლის“ მოედანი.** ჩვენ არ ვიცით ბატონი რევაზი სასულიერო პირია თუ საერო, მაგრამ ერთი კი აშკარაა, რომ მის მიერ შემოთავაზებული და არგუმენტირებული მოსაზრება, რომ დედაქალაქის მთავარ მოედანს უნდა დაერქვას ღვთისმშობლის სახელი, ეჭვს არ იწვევს და ერთგვარი გაუგებრობაცაა, რომ ეს აშკარა და დიდი ჭეშმარიტება რატომ სხვებსაც არ დაგვებადა, სავსებით მართალს ბრძანებს ქ-ნი ნანა ივანიშვილი („სახალხო განათლება“ 4/X), რომელიც გამოეხმაურა აღნიშნულ წერილს, რომ თვით დიდი დავითიც კი ვერ გაბედავდა ეთქვა, რომ ჩემი სახელობის მოედანი იყოსო, არა, ეს ბრძენი და სამშობლოსათვის დამაშვრალი დიდი მამულიშვილი თავდახრით აღიარებდა „მხოლოდ ღვთისმშობელი“ და „მხოლოდ ღვთისმშობელი“.

ჩვენ დაბეჯითებით სწორედ იმიტომ ვუჭერთ მხარს ბატონ რევაზ ბარამიძეს, რომ ღვთისმშობლის პატივისათვის კი არაა ეს საჭირო, ღვთისმშობელი არავითარ ამქვეყნიურ პატივისცემას არ საჭიროებს, არამედ ეს ჩვენთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის — მათი განწმენდის, დახვეწისა და ამაღლებისათვისაა საჭირო. საქმე იმაშია, რომ როდესაც ყოველდღიურად გაივლი იმ მოედანზე, რომელიც დიადი სიწმინდის სახელს ატარებს, როდესაც ყოველდღიურად და დღეში რამდენჯერმე ტროლეიბუსის, ავტობუსისა თუ მეტროს გამყოლი შეგახსენებს ამ წმინდა სახელს, ბუნებრივია მოქალაქეც გამოფხიზლდება, გონს მოეგება და სიკეთე და სიწმინდე იქნება მისი მოქმედების განმსაზღვრელი; ქალაქი, რომლის მთავარი მოედანი წმინდა მარიამის სახელითაა ნათელღებული, იმ ქალაქის მობინადრეცა და სტუმარიც აშკარა პასუხისმგებლობითა და შინაგანი მობილიზაციით განწმენდისა და კაცთმოყვარეობის გრძნობით განიმსჭვალება.

ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას, მართლაც, უნდა ამშვენებდეს წმინდა მარიამის სახელხატება!

თსუ სტუდენტები:
**გ. შავგულიძე**
**თ. ჩხეიძე**
**ნ. ერისთავი**
**გ. ჭიჭინაძე**
და სხვები. სულ 50 ხელმოწერა.

●

1990 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის მორიგი სხდომა, რომელმაც მიიღო დადგენილება საქართველოს სახალხო ფრონტთან საქართველოს საზღვრების დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ. ამ კომისიის თავმჯდომარედ დარბაზმა ერთხმად აირჩია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით მუსხელიშვილი, რომელსაც დაევალა კომისიის შემადგენლობის შესახებ წინადადების წარმოდგენა სახალხო ფრონტის დარბაზის მომავალი სხდომისათვის.

საქართველოს საზღვრების დამდგენმა კომისიამ უახლოეს თვეებში გამოსაცემად უნდა მოამზადოს საარქივო დოკუმენტები და უნდა შეისწავლოს და დააზუსტოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრები.

●

**პოლონეთში, „მებრძოლი სოლიდარობის“ მეცადინეობითა და ღვაწლით დასრულდა შეურიგებელი ოპოზიციის კონსოლიდაციის პროცესი. „მებრძოლი სოლიდარობის“ ბაზაზე შეიქმნა თავისუფლების პარტია, რომლის თავმჯდომარეცაა შეურიგებელი ოპოზიციის ცნობილი მოღვაწე კორნელიუს მორავეცკი.**

**ამ დღეებში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ მიიღო მოწვევა პოლონეთიდან. ამ ოფიციალურ დოკუმენტს მორავეცკის გარდა ხელს აწერს ოპოზიციის კიდევ ერთი ცნობილი ლიდერი — ვოიცეხ სტანდო. მოწვევაში აღნიშნულია, რომ ამა წლის 9-11 ნოემბერს პოლონეთის ქალაქ ვროც-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავაში შედგება თავისუფლების პარტიის I ყრილობა და ამ ყრილობაზე მოწვეულნი არიან საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდანაც.

პოლონეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები, რომელიც მიმართულია საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ და პოლონეთისა და საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავს მიზნად, თვისობრივად ახალ ეტაპზე ადის.

●

დღეს უკვე არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანში არავითარ ეჭვს აღარ იწვევს, რომ უდიდესი ეკონომიკური და სულიერი პოტენციალის მქონე ქვეყანა განადგურებული და გადაგვარებული აღმოჩნდა არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის გამო, რომელსაც მართავდა და მართავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. მკაცრად მონოპოლიზირებულმა მასობრივი ინფორმაციისა თუ პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებებმა მრავალ ადამიანში ქვეყნისა და ისტორიის საზიანოდ ჩამოაყალიბეს გულუბრყვილო პატრიოტიზმისა და კომუნისტური იდეალების რწმენის მთელი სისტემა, ამიტომაც ბევრი პატიოსანი და სანდო ადამიანი მოტყუებით თუ იძულებით თავისდაუნებურად ჩაერთო ფანტასტიკური, მაგრამ ლამაზი კომუნისტური იდეალების ქვეშ შეფარებული ერთი მუჭა უზურპატორ-კარიერისტების მიერ შექმნილი სისტემის ორბიტაში.

ახლა, როცა ისტორიის ყრუდ დაკეტილი კარები გაიღო, აღმოჩნდა, რომ ქვეყნის ინტელიგენციის წინა თაობების საუკეთესო ნაწილი გაჟლეტილია, ამასთან დაკავშირებით ამჟამინდელი კი პარალიზებული, ხოლო ეკონომიკა დანგრეული და უმართავი, თუმცა მთელი ამ ხნის განმავლობაში მმართველი პარტია ხიშტითა და მუქარით გვიმტკიცებდა, რომ მხოლოდ სოციალისტური ეკონომიური ურთიერთობა და დაგეგმვა არის ქვეყნის განვითარებისა და აყვავების ერთადერთი გზა, მაგრამ ჭირმა მაინც არ დამალა თავი და კომუნისტური პარტიაც იძულებული შეიქმნა ეღიარებინა, რომ ქვეყნის ხსნა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საბაზრო ეკონომიკა კაპიტალისტური სისტემის ძრავაა, მაშინ ნათელი გახდება ყველაფერი — მმართველ პარტიას, რომელმაც სოციალისტური იდეალების უარყოფის მიზეზით უამრავი ადამიანი ამოწყვიტა და დაანგრია ქვეყანა, არავითარი მორალური უფლება არა აქვს ხელმძღვანელობდეს კაპიტალისტურ სისტემას.

ვხელმძღვანელობთ რა ამ მორალური პრინციპით, გურჯაანის რ-ის სოფ. ვაჩნაძეანის კომუნისტების აბსოლუტური უმრავლესობა გავდივართ პარტიის რიგებიდან და ხმას ვაძლევთ არჩევნებში მათ, ვისაც ნამდვილად პატრიოტული, დემოკრატიული, სწორი ეკონომიკური პროგრამა გააჩნიათ, რათა როგორმე გაიყვანოს თავისუფლებისა და აღორძინების გზაზე ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო.

**ხელს აწერს 80 კაცი.**

●

**გასულ კვირას ქ. რუსთავში შედგა საქართველოს რადიკალურ-ნაციონალური პარტიის დამფუძნებელი კრება. კრებაზე დამტკიცდა პარტიის წესდება და პროგრამა, აირჩია მთავარი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: თამაზ თამაზიშვილი, ზურაბ კურტანიძე, მურად ჩხიტაძე და ბესიკ ლაშქარაშვილი. პარტიის თავმჯდომარედ ფარული კენჭისყრით არჩეული იქნა მურადი ჩხიტაძე.**

**კრებაზე განხილული იყო პარტიის უახლოესი სამოქმედო გეგმა.**

**საქართველოს რადიკალურ-ნაციონალური პარტია დაწვრილებით ინფორმაციას ქართველ ხალხს მიაწოდებს არაპერიოდულ გაზეთ „დიდების“ საშუალებით, ხოლო ყოველი კვირის ხუთშაბათს ქ. თბილისში თავისუფლების მოედანზე მდებარე პუშკინის სახელობის სკვერში 17 საათზე გამართავს საინფორმაციო მიტინგს.**

**პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აგიტაციასა და პროპაგანდას, ამ მიზნით 17 ოქტომბერს ქ. რუსთავში 17 საათზე დამოუკიდებლობის მოედანზე, ხოლო 20-21 ოქტომბერს ყვარლის რაიონში ჩაატარებს მიტინგს.**

●

### საქართველოს სახალხო ფრონტისაგან

საქართველოს სახალხო ფრონტიდან გავიდა რამდენიმე ათეული წევრი, რომელთაც თავის თავს „ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი“ უწოდეს. გავიდა სხვა ჯგუფიც, რომელმაც „საქართველოს დემოკრატიული სახალხო ფრონტი“ დაირქვა. საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზმა 1990 წლის 8 ოქტომბერს დაადასტურა მათი ფრონტის შემადგენლობაში ყოფნის შეწყვეტა. ამასთან ერთად დარბაზმა გარიცხა საქართველოს სახალხო ფრონტის შემადგენლობიდან ის პიროვნებანი, რომლებიც, წინააღმდეგ საქართველოს საარჩევნო კანონისა, კენჭს იყრიან სხვა პოლიტიკური ჯგუფის ან პარტიის სიით, როგორც დეპუტატობის კანდიდატები. საქართველოს სახალხო ფრონტიდან გასულთა და გარიცხულთა შორის არიან საქართველოს სახალხო ფრონტის რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც, რომელთაც დარჩათ რეგიონული ორგანიზაციის ბეჭედი. საქართველოს სახალხო ფრონტი აცხადებს ყველა პიროვნებისა და როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ყველა ორგანიზაციის საყურადღებოდ, რომ იგი ვერ იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, თუ რამდენად კანონიერად გამოიყენებენ ეს პიროვნებანი ზემოხსენებულ მრგვალ ბეჭედს, აგრეთვე რეგიონული ორგანიზაციის საბანკო ანგარიშზე რიცხულ თანხას.

ეს პიროვნებებია: ნოდარ ჯიქია (წყალტუბოს რაიონი); ლადო ბუზალაძე (კრწანისის რაიონი); ნუგზარ ელიავა (ისნის რაიონი); ირაკლი მაჭავარიანი (მთაწმინდის რაიონი); ქართლოს ღარიბაშვილი (თეთრი წყაროს რ-ნი).

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო ფრონტზე ცილისწამებისათვის სახალხო ფრონტის დარბაზმა 8 ოქტომბერს ფრონტის წევრობიდან გარიცხა თამაზ მამაგეიშვილი.

ზემოხსენებულ პიროვნებათა გარდა მრგვალი ბეჭედი საქართველოს სახალხო ფრონტისათვის არ დაუბრუნებია და იგი ოქტომბრის რაიონის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის ახალი თავმჯდომარისათვის არ გადაუცია ამ რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის ყოფილ თავმჯდომარეს ლედი თირქიას.

საქართველოს სახალხო ფრონტი ოფიციალურად იტყობინება, რომ ვინაიდან იგი პასუხისმგებელია მისი ხელმოწერით გაცემული ბეჭდების გამოყენებაზე, იგი კრძალავს 1990 წლის 8 ოქტომბრიდან ზემოხსენებული ბეჭდების გამოყენებას მანამდე, სანამ ეს ბეჭდები არ დაუბრუნდება კანონიერ მფლობელებს, რაზედაც გაკეთდება სპეციალური განცხადება.

**ნოდარ ნათაძე,**
**საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე.**

## ქრონიკა. განცხადება. ინფორმაცია

# უფლისწული საქართველოში ჩამოვა

ამ დღეებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურმა ფრთამ თხოვნით მიმართა ესპანეთის მეფეს, (მიმართვის ასლს ვაქვეყნებთ), მის უდიდებულესობას დონ ხუან-კარლოს პირველს, რომ მან სამხედრო ვალდებულებისაგან გაათავისუფლოს და საქართველოში სასწავლებლად ჩამოსვლის ნება მისცეს ამჟამად ესპანეთის მოქალაქეს, ბატონიშვილ ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონს, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფო ტახტის პოტენციური პრეტენდენტია.

ამ თხოვნას ხელი მოაწერეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის, ეროვნულ-დემოკრატიული, მონარქისტული (კონსერვატიული), დემოკრატიული პარტიებისა და საქართველოს მხედრიონის ხელმძღვანელებმა. მათვე ბატონიშვილის საქართველოში ჩამოყვანის რწმუნების წერილი მისცეს მონარქისტული პარტიის თავმჯდომარეს თემურ ჟორჟოლიანს, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს ესპანეთის მეფესთან და ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლებთან.

ირაკლი ბაგრატიონი 18 წლისაა. იგი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში ისწავლის ისტორიის ფაკულტეტზე და იქნება კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მეთვალყურეობის ქვეშ.

ამ დღეებში ბატონი თემურ ჟორჟოლიანი ესპანეთში გაემგზავრება უფლისწულის სამშობლოში ჩამოსაყვანად.

**საკუთარი ინფორმაცია**

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია

№ 102

9 X 1990 წ.

Tbilisi

Su Majestad, Don Juan Carlos I de Borbón

Su Majestad

Le agradecemos en nombre de los partidos radicales del movimiento de Liberación Nacional de Georgia a Ud. y a todo el pueblo espanol por haberbe dado el asilo a la familia Real de Georgia, en los tiempos dificiles para ella.

Le aseguramos que en el movimiento de liberación Nacional se convierte más popular la idea de establecer la Monarquia Constitucional. Los pretendientes de la corona tienen que participar en este movimiento. Por eso, le pédimos a Su Majestad, liberar como excepción a Jracli Bagrationi del servicio militar, para que él pueda ir a Georgia, con el fin de aprender mejor la historia, cultura, literatura y la situación politica.

Le agradecemos de antemano.

Con el profundo respeto:

1. Jracli Tsereteli — primer secretario del partido de Jndependencia Nacional.
2. Guiorgui Chanturia — primer secretario del partido Nacional-Democràtico.
3. Temur Shorsholiani — primer secretario del partido Monarquista (conservador).
4. Tenguis Sharmanashvili — primer secretario del partido democràtico.
5. Dshaba Joseliani — jefe del ejército popular (Mjedrioni)

კოსტავას ქ. 47 ☎ 99-57-82, 93-54-25

# თელავში შეიქმნა ქართველ შეფიცულთა კავშირი

ამ დღეებში თელავის სახელმწიფო თეატრის შენობაში ჩატარდა ქართველ შეფიცულთა კავშირის დამფუძნებელი კრება, რომელმაც მიიღო კავშირის პროგრამა და წესდება, დაამტკიცა კავშირის დროშა, არჩეულ იქნა კავშირის თავმჯდომარე. დამფუძნებელ კრებას ესწრებოდნენ კახეთის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები.

კავშირის მიზანია დაიცვას ქართველი ერი როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად, მისი კანონიერი ისტორიული უფლებების აღდგენა და სხვა.

# წერილი „ახალგაზრდა ივერიელს“

დიდი ხანი არ არის, რაც თიანეთში ადგილობრივი კულტურისა და დასვენების პარკის ბაზაზე შეიქმნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი რესპუბლიკური ცენტრი, რომელიც 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის სახელს ატარებს. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის შექმნა, თავისთავად, მეტად სასიკეთო იდეას წარმოადგენს, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც იტყვიან ხოლმე, ყველაფერი ქაღალდზე დარჩა...

არადა, გვეგონა, რომ ამ ცენტრის შექმნა დაეხმარებოდა თიანელ ახალგაზრდობას თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარებაში,

თიანეთის რაიონს არავითარი თანხები არ გააჩნია ცენტრის კეთილმოსაწყობად და ამიტომაც არავითარი ღონისძიებები, თავისთავად, არ ტარდება. რაიონის აღმასკომმა მიმართვა გაუგზავნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს და ფინანსთა სამინისტროს, მაგრამ შედეგი დღემდე არ ჩანს...

კიდევ ერთხელ ვთხოვთ ზემოთდასახელებულ ინსტანციებს, რომ დაგვეხმარონ და გამოგვიყონ საჭირო თანხა ცენტრის კეთილმოსაწყობად.

თხოვნით მივმართავთ აგრეთვე გზების სამინისტროს, რათა წესრიგში მოიყვანოს თიანეთ-ჟინვალის გზა, რომელიც გადის ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის ქუჩაზე.

რაც შეეხება თიანეთის რაიაღმასკომს, კატეგორიულად მოვითხოვთ, მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა აკრძალოს თიანეთ-ზარიძეების მიმართულებით სატვირთო მანქანების მოძრაობა და მათ სხვა მიმართულება მისცეს...

**ზიზა ცომაია,**
**ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი რესპუბლიკური ცენტრის პრეზიდენტი.**

# დიდოსტატი

...ამ ბუმბერაზმა კაცმა იმდენი რამ გააკეთა ქართული ფეხბურთისათვის, რომ ჩამოთვლას აღარ შევუდგებით.

გარდაიცვალა „ფეხბურთის კარუზო“, ყველასათვის საყვარელი ბორის პაიჭაძე...

დღეს ჩვენ, ფეხბურთის ყველა თაობის გულშემატკივარს, თვალთ ცრემლი მოგვადგა... ყველას დაგვწყვიტა გული ბატონი ბორისის გარდაცვალებამ. ამით ხომ კიდევ ერთი ძაფი გაწყდა წარსულთან...

ბორის პაიჭაძე — ეს ხომ ქართული ფეხბურთის ცოცხალი მატიანე და ლეგენდაა...

...ბატონ ბორისზე ახალს ვერაფერს ვერ ვიტყვით. მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ბატონი ბორის პაიჭაძის თაობის ორი წარმომადგენლის, წარსულში ცნობილი ქართველი მსაჯების გიორგი ბაქანიძისა და ნესტორ ჩხატარაშვილის მოგონებები:

**გიორგი ბაქანიძე:** „... 1946 წელს თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის თასის თამაშებს ატარებდა მოსკოვში. ეს ის პერიოდი იყო, ბორია პაიჭაძე რომ თავის საუკეთესო მატჩებს ატარებდა. იმ დროს მოსკოვში ვსწავლობდი და სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად (გოგა ლორთქიფანიძე, მელორ სტურუა, მარლენ ხუციევი, გუგული მგელაძე და სხვები) ჩვენ საყვარელ გუნდს ვგულშემატკივრობდით. „დინამომ“ ჩინებულად ჩაატარა სათასო შეხვედრები, თანდათან ჩამოიცილა მინსკის „დინამო“ და მოსკოვის სამი მრისხანე გუნდი — ცდკა, „დინამო“ და „ტორპედო“. ამ შეხვედრებში ბორია პირდაპირ შეუდარებელი იყო. ფინალამდე (სადაც მეტოქედ მოსკოვის „სპარტაკი“ უნდა ყოფილიყო) ჩვენი გუნდი მოსკოვის ერთ-ერთ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და გულშემატკივრებმა მორიგეობა დავაწესეთ, ზედმეტად რომ არ დაერღვიათ დინამოელთა მყუდროება. მაგრამ, აი, ქალებმა კი მოსვენება დაგვიკარგეს ზედმეტი აქტიურობით... ფინალის შემდეგ (რომელიც მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა) ბორია ხშირად ხუმრობდა — „თუ წაგება გვეწერა, ქალები მაინც შემოგვეშვაო...“

**ნესტორ ჩხატარაშვილი:** „...1950 წელს თბილისის გუნდების „სპარტაკისა“ და „დინამოს“ თამაშს ვმსაჯობდი. ერთ-ერთ ეპიზოდში „სპარტაკის“ კარში საჯარიმო დაინიშნა და ბორიამ თავის ჩვეულ მანერაში ლამაზი ბურთიც გაიტანა. მე რატომღაც წესების დარღვევა დავინახე და დარტყმა გავამეორებინე. არადა, გულში ვფიქრობდი — ნეტავი ახლაც გაიტანოსო. ბორიამ განმეორებითი დარტყმაც არანაკლები ოსტატობით შეასრულა და ბურთიც მეტოქის კარში აღმოჩნდა. ცენტრისკენ რომ ვბრუნდებოდით, ბორიამ ხუმრობით მითხრა — „ნესტორ, შენ არ იდარდო, ბურთი ხომ მაინც გავიტანეო...“

ბორიას ჩემი შეცდომის გამო არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს. იგი ხომ უაღრესად კორექტული მოთამაშე გახლდათ და ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე მსაჯებისაგან არც ერთი გაფრთხილება არ მიუღია...“

...ადამიანი ამ ქვეყნად ერთხელ მოდის. ბორის პაიჭაძის ვარსკვლავი კი საფეხბურთო ცაზე მარად იბრწყინებს. ის ხომ ტყავის ბურთის განუმეორებელი დიდოსტატი და ამასთან, ნაღდი ქართველიც იყო...

დღეს უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ ბორის პაიჭაძეს და გვჯერა, რომ ქართული ფეხბურთის დღევანდელი თაობა ღირსეულად გააგრძელებს თავის სახელოვანი წინამორბედის სასახელო ტრადიციებს...

**ირაკლი ტაბლიაშვილი,**
**თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.**

# აღორძინება — არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე სახელობის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველად საქართველოს ისტორიაში

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინებამ“ გამოსცა ქართული ეკლესიების რუკა — „ქრისტიანული საქართველო“. რუკები შეიძლება შეიძინოთ ქართულ ეკლესიებში. შემოსული თანხა გადაირიცხება სოფელ კუჯაბის მშენებლობის ფონდში.




## პირველად ხელმოწერით

ვაძლევათ შესაძლებლობა მიიღოთ გაზეთი „ოქროს საწმისი“

გაზეთი აქტუალურად ეხმაურება დღევანდელ პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობას. ფართოდ გააშუქებს საქართველოში და, კერძოდ, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის საკითხებს.

გარდა ამისა, გაზეთი მოწოდებული იქნება მკითხველს გააცნოს ყველა ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც დღევანდელი მსოფლიოსათვის არის დამახასიათებელი და ნიშანდობლივი.

გაზეთის ფურცლებზე ჩვენი ხელმოწერები გაეცნობიან თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს, აგრეთვე მსოფლიო ლიტერატურულ ცხოვრებას.

გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ, 16 გვერდზე და მისი საცალო ღირებულებაა 1 მანეთი.

სამი თვით — 3 მანეთი.
ექვსი თვით — 6 მანეთი.
წლით — 12 მანეთი.

გაზეთს უკვე გააჩნია საკუთარი ინდექსი — 66431.

ვისაც სურს გამოიწეროს გაზეთი „ოქროს საწმისი“, გთხოვთ, ხელმოწერის გაფორმებას ნუღარ დააგვიანებთ. ამით თქვენ თავისთავად თანამონაწილე და თანამდგომი გახდებით აფხაზეთში და საერთოდ, დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებისა.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში.

გამოიწერეთ გაზეთი „ოქროს საწმისი“!..


რესპუბლიკურ საწარმოო ასოციაცია „კომპლექსთან“ შექმნილია სამკურნალო-გინეკოლოგიური ფირმა

„ჰიპოკრატე“

ფირმა „ჰიპოკრატე“ აწარმოებს ქალთა გინეკოლოგიურ დაავადებათა და კერძოდ, კიბოსწინარე დაავადებების პროფილაქტიკას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას.

მანიპულაციები ჩატარდება ერთჯერადი შპრიცებითა და ნემსებით.

ფირმის მისამართია: პეტრიაშვილის ქ. № 44.
მიღება 16.00-დან 19.00 სთ-მდე.
დასვენება შაბათს და კვირას.
ტელეფონი: 23-05-10.

სახალხო მოხმარების საგნების კოოპერატივი „დელტა“ უშვებს ელშედუღების ნახევარ ავტომატს $CO_2$-ის არეში, რომელიც შეიძლება წარმატებით გამოიყენონ ავტოშემკეთებლებმა კარის შედუღებისას, აგრეთვე საზეინკლო სამუშაოების შესასრულებლად.

ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. № 13-ა.

კოოპერატივი „დელტა“. ტელეფონები: 71-87-80 ან 71-85-43.

ვიზების სათარგმნად

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერატიულ ფირმას „ზევსს“, რომელიც მოგეხმარებათ ყოველდღე დასვენების დღეების გარდა. 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, 22-58-40 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი № 2.

„თბილისი-ლინკ“.
თბილისი-ციურიხი-ვენა

საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა ხელმძღვანელობის საფუძველზე გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებას:

კონსულტაციებს გაგიწევთ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და უცხოურ ფირმებს დაეხმარება საქმიანი კონტაქტებისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებაში; რეკლამას გაუწევს როგორც საბჭოთა ორგანიზაციების საქონელსა და მომსახურებას საზღვარგარეთ, ისე საზღვარგარეთულს — შიდა ბაზარზე; მიიღებთ ოფიციალურ კონსულტაციებს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების წარმოებაზე, ერთობლივი საწარმოების, ასოციაციების, კონცერნების, კონსორციუმების და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების შექმნასთან დაკავშირებით.

ფირმის მისამართია: თბილისი, გ. კოსტავას ქუჩა № 68ა, მე-5 სართული, ტელეფონები: 36-41-78; 36-16-77.

ყურადღება!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ და სატელევიზიო პროგრამა „ილუზიონში“ რეკლამები შეიძლიათ შეუკვეთოთ ტელეფონზე: 37-58-25; მისამართი: ბუდაპეშტის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე). ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო



ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая молодежная газета «Ахалгазрда Иверели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-90-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა, 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14. 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი — 380096. გ. კოსტავას ქ. № 14.